დამტკიცებულია

დირექტორის

2018 წლის 23.05

N-43 ბრძანებით

ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის

მარეგულირებელი წესი

წინამდებარე წესი არეგულირებს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარებას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კოლეჯი - ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი .

ბ) პროფესიული სტუდენტი - შემდგომში სტუდენტი.

გ) აპლიკანტი – პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო / ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს ან/და რომელიც პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის მიზნებისათვის დარეგისტრირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით" დადგენილი წესით და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით. პროგრამა აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო მოდულებს. პროგრამით განისაზღვრება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები.

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და პროგრამის განხორციელების წინაპირობები, შესარჩევი სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის ალტერნატიული ჩამონათვალი.

ვ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება - კოლეჯისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან დროებით გათავისუფლება, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

ზ)სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლება.

თ) მობილობა - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის გადასვლას/გადმოსვლას სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ი) შიდა მობილობა - სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას, ან ერთი ჯგუფიდან მეორეში გადასვლის შესაძლებლობა.

კ) ინკლუზიური განათლება - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში.

ლ) პროფესიული მასწავლებელი - პირი რომელსაც გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია და უძღვება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულს;

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1.აპლიკანტს საბაზო/ზოგადი განათლების საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარების და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული

საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად.

2. კოლეჯის დირექტორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების" 24-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისა და ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან 2 დღის ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან (მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) აპლიკანტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

3. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხასა და მათი წარდგენის ვადებს.

4. კოლეჯის დირექტორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების"32-ე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 5 დღის ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის წარდგენის ვადებს. ხოლო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისა და დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სწავლის დაწყებამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს მასთან (ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) ხელშეკრულებას.

5. კოლეჯი მონაცემებს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში ასახავს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

6. სტატუსის (მსმენელის) მოპოვების საფუძველია ასევე კოლეჯის ტრენინგ-კურსებზე სწავლის მსურველი პირის ჩარიცხვა, რასაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა.

7. სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ წესში დეტალურად რეგულირდება საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით“.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა;

ბ) ორსულობა, მშობიარობა;

გ) უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

დ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა - სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

ე) სამხედრო სამსახურში გაწვევა;

ვ) მეცადინეობების არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 10 (ათი) სასწავლო დღის ოდენობით გაცდენა.

ზ) სხვა არსებითი გარემოება.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია დასაბუთებული წერილობითი განცხადებით (რომელსაც უნდა დაერთოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი) მიმართოს კოლეჯის დირექტორს და ითხოვოს სტუდენტის სტატუსის შეჩერება კონკრეტული ვადით.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს.

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ ეტაპიდან რა ეტაპზედაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

5. კოლეჯის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე, სტუდენტი მიიჩნევა სტუდენტის სტატუს შეჩერებულ პირად.

მუხლი 4 . პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;

ბ) პროგრამის დასრულება და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღება;

გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა და სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმა;

დ) იმ ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის გაყალბება, რაც საფუძვლად დაედო სტუდენტის სტატუსის მოპოვებას;

ე) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;

ვ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა;

ზ) გარდაცვალება;

თ) სწავლის სხვა კოლეჯში გაგრძელება;

ი) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - გარიცხვის გამოყენება;

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილი თანამშრომლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე (გარდა ,,ა" პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლისა) რაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კოლეჯი ახდენს პროფესიული სტუდენტის ნფორმირებას (წერილობითი ფორმით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით), მის მიერ დაგროვილი გაცდენილი დღეების გამო მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს არ ათავისუფლებს იმ ფინანსური დავალიანების დაფარვისაგან, რომელიც მას წარმოეშვა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის ბრძანების გამოცემამდე. იგი ვალდებულია დაფაროს დავალიანება.

6.ფინანსური დავალიანების დაფარვისათვის თავის არიდების შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ზომები, მათ შორის მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 5. მობილობა

1.სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირებას და მობილობის საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.

2.კოლეჯის ხარისხის მენეჯერი დირექტორს წარუდგენს წინადადებას მობილობით სტუდენტების მისაღები ადგილების რაოდენობის განსაზღვრაზე, იმ მიმართულებებისა და პროგრამების მითითებით, რომელზეც მიზანშეწონილია სტუდენტთა მიღება. სტუდენტების მიღებისათვის თავისუფალი ადგილების რაოდენობა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

3.მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის დროისათვის წარმოადგენს კოლეჯის ან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს.

4.მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი ვალდებულია კოლეჯში შეიტანოს განცხადება მობილობის მსურველად რეგისტრაციის თაობაზე, აგრეთვე წარადგინოს სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია განვლილი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის შესახებ.

5.მობილობის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა შესაძლებელია გახდეს პირის მობილობის წესით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

6.მობილობის მსურველ პირთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორმა შესაძლებელია შექმნას კომისია. კომისიის მიერ განხილვის შედეგები ეცნობება დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.

7. ერთი და იმავე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის ფარგლებში მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე.

8.სხვადასხვა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის ფარგლებში მობილობის შემთხვევაში სტუდენტის პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.

9. კოლეჯი უფლებამოსილია სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:

ა) სწავლის მიმდინარეობისას ჯგუფში დარჩა სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და კოლეჯს არ ჰყავს ამავე სპეციალობაში სხვა ჯგუფი;

ბ) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

გ)კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

10. მობილობა დასაშვებია თუ არსებობს შემდეგი პირობების ერთობლიობა:

ა) დაცულია ამ მუხლით დადგენილი მობილობის ვადები;

ბ) არსებობს ადგილი იმ ჯგუფში, სადაც იგეგმება სტუდენტის მობილობის წესით გადაყვანა;

გ) მობილობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთი და იგივე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დ) მობილობა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

11. შიდა და გარე მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარებას ახორციელებს კოლეჯი.

12. სტუდენტის მობილობით გადაყვანა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 6. მიღებული განათლების აღიარება

1. კოლეჯი ადგენს მის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

2. აღიარების მსურველ პირთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია.

3.აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ განვლილი და კოლეჯის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.

5. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ განვლილი და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შესაბამისობა.

6. კოლეჯი უფლებამოსილია, გასაუბრების ან/და გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველი პირის მიერ მიღებული პროფესიული განათლების თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

7. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების აღიარება გულისხმობს სტუდენტის მიერ სხვა ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების და სწავლების შედეგების შედარებას კოლეჯის იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან, რაზეც პირს სურს სწავლის გაგრძელება ან განახლება.

8. კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარებისათვის შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (სასწავლო კურსი/მოდული, სილაბუსი/კალენდარული გეგმა ან შეფასების სტანდარტის დაკმაყოფილება) დამატებით სხვა ინფორმაცია რომლის წარდგენის ვალდებულება ეკისრება სტუდენტს.

9. სტუდენტის მიერ გავლილი საგნების/მოდულების და მათი სწავლის შედეგების შინაარსობრივი კვლევის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს იდენტურობა სტუდენტის მიერ განვლილ დისციპლინასა და კოლეჯის პროგრამით გათვალისწინებულ სხვა დისციპლინას შორის.

10. პროგრამის კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებაში დეტალურად მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები სტუდენტის მიერ გავლილ პროგრამასა და კოლეჯის პროგრამას შორის.

11. აღიარების კომისიის მიერ მიღებული განხილვის შედეგები ეცნობება კოლეჯის დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

12. კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში სტუდენტის მიერ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების შესახებ, მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა კოლეჯის პროგრამასთან და ასევე, აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

3. პროგრამებზე კოლეჯისათვის ფინანსურად და სწავლის ორგანიზებისათვის სწავლის მსურველთა არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, მათთან ერთად განიხილება მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, განისაზღვრება განსხვავებულ დისციპლინათა სწავლებისა და ცოდნის, უნარ-ჩვევების შეძენის ვადები, რაც ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 8. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.

1.კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და,

შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენებული იქნება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვის გზით.

მუხლი 8. პროფესიული მასწავლებელის მოვალეობები

1. პროფესიულმა მასწავლებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის/მოდულების განხორციელებამდე არაუგვიანეს 6 სამუშაო დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს კალენდარული გეგმა კოლეჯის მიერ დადგენილი ფორმისა და შინაარსის დაცვით, ხოლო მეცადინეობაზე შესვლამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალები ელექტრონული სახით.
2. პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია აწარმოოს პროფესიული სტუდენტის დასწრებისა და სწავლის შეფასების ჟურნალი, უზრუნველყოს მეცადინეობების სასწავლო ცხრილით დადგენილი გრაფიკით ხარისხიანი წარმართვა, პროფესიულ სტუდენტებს გაუწიოს დამატებითი კონსულტაციები და საჭირეობის შემთხვევაში უზრუნველყოს შედეგების დადასტურების განმეორებით ჩატარება.
3. პროფესიული მასწავლებელი მოდულის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 6 სამუშაო დღის ვადაში სასწავლო პროცესისა და სასწავლო პროცესის მენეჯერს/სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს წარმოუდგენს სამსახურეობრივ ბარათს დადგენილი ფორმით და თითოეული პროფესიული სტუდენტის მიღწევების დამადასტურებელ მტკიცებულებებსა და დახასიათებას.
4. პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს პროფესიული სტუდენტებისთვის/არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირების გამოცდების/შუალედური გამოცდების ორგანიზება/წარმართვაში და კოლეჯის საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობაში დირექტორის ინდივიდუალური აქტის საფუძველზე.
5. აღნიშნული მოვალეობები წარმოადგენს პროფესიული მასწავლებლის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

მუხლი 9

1. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მინიჭების მომენტიდან მასწავლებლების/პროფესიული განათლების მასწავლებლების/აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საერთო რაოდენობის ცვლილებამ მიაღწია 10%-ს, კოლეჯი ვალდებულია ცვლილებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობოს ცენტრს აღნიშნულის შესახებ. 3. საგანმანათლებლო პროგრამის, გარდა აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებისა, სწავლის შედეგების ცვლილების შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია ცენტრს წერილობით აცნობოს ცვლილების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარუდგინოს საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე http://www.matsne.gov.ge 43003000022022016012 ცვლილებების განხორციელების შესახებ გამოცემული აქტი.